



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54

2014 წლის 24 ოქტომბერი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო
კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის
შ ე ს ა ხ ე ბ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და „თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 ოქტომბრის №47 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - დავით ნაპირელი;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი